

„ფთიზიატრია-პულმონოლოგია“

1. სპეციალობის დასახელება - „ფთიზიატრია-პულმონოლოგია“.

2. სპეციალობის შინაარსი:

ექიმი-ფთიზიატრი-პულმონოლოგი ახორციელებს სასუნთქი სისტემის დაავადებებისა და ტუბერკულოზური პათოლოგიის მქონე პაციენტის კვლევას, დიაგნოსტიკას, არაქირურგიულ მკურნალობას, რეაბილიტაციას და ატარებს ამ დაავადებების საპროფილაქტიკო ღონისძიებებს.

3. ზოგადი ცოდნა:

ა) ფილტვების ობსტრუქციული დაავადებები ასთმის, ბრონქიტის, ემფიზემის, ბრონქოექტაზების და მუკოვისციდოზის ჩათვლით;

ბ) ფილტვის პლევრის და შუასაყარის პირველადი და მეტასტაზური ონკოპათოლოგიები;

გ) ფილტვის და ფილტვგარეშე ტუბერკულოზი მართვის, ეპიდემიოლოგიის და პრევენციის ყველა ასპექტის გათვალისწინებით;

დ) ფილტვის ინფექციური დაავადებები სოკოვანი და იმუნოკომპრომიტირებულ პირებთან, მათ შორის, HIV/AIDS პაციენტებთან განვითარებული სასუნთქი სისტემის ინფექციური დაავადებების ჩათვლით;

ე) ფილტვის დიფუზური ინტერსტიციული დაავადებები;

ვ) ფილტვის სისხლძარღვების დაავადება ფილტვის არტერიის პირველადი და მეორადი ჰიპერტენზიის, ვასკულიტების და ფილტვებიდან სისხლდენის სინდრომის ჩათვლით;

ზ) პროფესიული და სხვადასხვა გარე გამლიზიანებით გამოწვეული ფილტვის დაავადებები მტვრის ინჰალაციით, აზბესტოზით გამოწვეული დაავადებების და პროფესიული ასთმის ჩათვლით;

თ) ფილტვის იატროგენული დაავადება მედიკამენტებით გამოწვეული დაავადების ჩათვლით;

ი) ფილტვის მწვავე დაზიანებები მათ შორის, რადიაციით, ინჰალაციით და ტრავმით გამოწვეული;

კ) სისტემური დაავადებების პლევრო-პულმონალური გამოვლინებები სისხლძარღვთა კოლაგენური დაზიანებების და სხვა ორგანოებში პირველადი კერის არსებობით მიმდინარე დაავადებების ჩათვლით;

ლ) სუნთქვის უკმარისობა, მათ შორის, მოზრდილთა რესპირაციული დისტრესის სინდრომი, სუნთქვის მწვავე და ქრონიკული უკმარისობა ფილტვის ობსტრუქციული დაავადებების დროს, ნეირო-კუნთოვანი პათოლოგიით გამოწვეული სუნთქვითი პროცესის დარღვევა და გულმკერდის კედლის დაზიანებით გამოწვეული სუნთქვის უკმარისობა;

მ) პლევრის და შუასაყარის პათოლოგიები პნევმოთორაქსის და ემპიემის ჩათვლით;

ნ) გენეტიკური და განვითარების პათოლოგიით გამოწვეული სასუნთქი სისტემის დაავადებები;

ო) სასუნთქი სისტემის ალერგიული დაავადებები, მათ შორის, ასთმა, ჰიპერმგრძობელობით, ჰიპერაქტივობით და სხვადასხვა გარე ალერგიული ფაქტორით გამოწვეული დაავადებები;

პ) სუნთქვის დარღვევა ძილის დროს და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები ძილის აპნოეს სინდრომის ჩათვლით.

4. დაავადებები და მდგომარეობები:

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
J12	ვირუსული პნევმონია	მართვა
J13	სტრეპტოკოკული პნევმონია	მართვა
J14	ჰემოფილუს ინფლუენზა-ით გამოწვეული პნევმონია	მართვა
J15	ბაქტერიული პნევმონია	მართვა
J16	სხვა ინფექციური მიკროორგ. გამოწვეული პნევმონია	მართვა
J17	სხვა დაავადებების თანმხლები პნევმონია	მართვა
J18	პნევმონია დაუზუსტებელი ეტიოლოგიით	მართვა
J20	მწვავე ბრონქიტი	მართვა
J21	მწვავე ბრონქიოლიტი	მართვა
J22	ქვ. სასუნთქი გზების დაუზუსტ. (არასპეც.) მწვავე ინფექციები	მართვა
J 40	ბრონქიტი, რომელიც არ კლასიფიცირდება არც მწვავე და არც ქრონიკულ ბრონქიტად	მართვა
J 41	მარტივი და ლორწოვან-ჩირქოვანი ბრონქიტი	მართვა
J 42	დაუზუსტებელი (არასპეციფ.) ქრონიკული ბრონქიტი	მართვა
J 43	ემფიზემა	არაქირურგიული მკურნალობა, კომპეტენციის ფარგლებში
J 44	ფილტვების სხვა ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებები	მართვა
J 45	ასთმა	მართვა
J 46	ასთმური სტატუსი	მართვა
J 47	ბრონქოექტაზები	არაქირურგიული მკურნალობა, კომპეტენციის ფარგლებში
J60	ქვანახშირის გადამამუშავებელთა პნევმოკონიოზი	მართვა
J61	აზბესტოზით და სხვა მინერალური ნივთიერებებით გამოწვეული პნევმოკონიოზი	მართვა
J62	სხვა არაორგანული მტვრით გამოწვეული პნევმოკონიოზი	მართვა

J63	კვარცის გადამამუშავებელთა (კვარცით გამოწვეული) პნევმოკონიოზი	მართვა
J64	დაუზუსტებელი (არა სპეციფირებული) პნევმოკონიოზი	მართვა
J65	ტუბერკულოზთან ასოცირებული პნევმოკონიოზი	მართვა
J66	სპეციფიკური ორგანული მტვრით გამოწვეული სასუნთქი გზების დაავადება	მართვა
J67	ორგანული მტვრით გამოწვეული ჰიპერსენსიტიური პნევმონიტები	მართვა
J68	ქიმიური ნივთიერებების აირების, ან გაზების ინჰალაციით გამოწვეული რესპირაციული მდგომარეობები (პათოლოგიები)	მართვა
J69	მყარი და თხევადი ნაწილაკებით გამოწვეული პნევმონიტები	მართვა
J70	სხვა გარე გამდიზიანებლებით გამოწვეული რესპირაციული მდგომარეობები (პათოლოგიები)	მართვა
J80	მოზრდილთა რესპირაციული დისტრეს სინდრომი	მართვა
J81	ფილტვის შეშუპება	მართვა
J82	ფილტვის ეოზინოფილია (იზოლირებული) რომელიც სხვა პათოლოგიასთან შეჭიდულად არ კლასიფიცირდება	მართვა
J84	ფილტვის სხვა ინტერსტიციალური დაავადებები	მართვა
J85	ფილტვის და შუასაყარის აბსცესი	არაქირურგიული მკურნალობა, კომპეტენციის ფარგლებში
J86	პიოთორაქსი (ემპიემა)	არაქირურგიული მკურნალობა, კომპეტენციის ფარგლებში
J90	პლევრიტი (იზოლირებული), რომელიც სხვა პათოლოგიასთან შეჭიდულად არ კლასიფიცირდება	მართვა
J91	პლევრიტი, რომელიც სხვა პათოლოგიასთან შეჭიდულად კლასიფიცირდება	მართვა
J92	პლევრალური წანაზარდი	მართვა
J93	პნევმოთორაქსი	მართვა
J94	პლევრის სხვა დაზიანებები სასუნთქი სისტემის სხვა დაავადებები	მართვა
J95	პროცედურის შემდგომი სუნთქვის დარღვევა, რომელიც სხვა პათოლოგიასთან შეჭიდულად არ კლასიფიცირდება	მართვა
J96	სუნთქვის უკმარისობა, რომელიც სხვა პათოლოგიასთან ეჭიდულად არ	მართვა

	კლასიფიცირდება	
J98	სხვა სახის სუნთქვის დარღვევები	მართვა
J99	სხვა დაავადებასთან შეჭიდული სუნთქვის დარღვევები	მართვა
D86.0	ფილტვის ფორმის სარკოიდოზი	მართვა
I26	ფილტვის ემბოლია	მართვა
I27	ფილტვ-გულის დაავადებები (უკმარისობა და ჰიპერტენზია)	სხვა მართვა
I28	ფილტვის სისხლძარღვების (არტერიის) სხვა დაავადებები	მართვა
A15; A16	ფილტვის ტუბერკულოზი	მართვა
A17	ნერვული სისტემის ტუბერკულოზი	მართვა
A18	ფილტვგარეთა ტუბერკულოზი	მართვა
A19	მილიარული ტუბერკულოზი	მართვა
A18.8 A16.7	სხვა ორგანოების ტუბერკულოზი ბავშვთა ტუბერკულოზი	მართვა
B20.0	HIV/AIDS-TB კო-ინფექცია	მართვა

5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ექიმ-ფტიზიატრ-პულმონოლოგს შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია:

- ა.ა) მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია;
- ა.ბ) გულმკერდის რენტგენოგრაფია, ტომოგრაფია, რენტგენოსკოპია;
- ა.გ) საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის რენტგენოგრაფია;
- ა.დ) მუცლის ღრუს რენტგენოგრაფია, რენტგენოსკოპია;
- ა.ე) საშარდე სისტემის მიმოხილვითი რენტგენოგრაფია, უროგრაფია, ურეტეროპიელოსკოპია;
- ა.ვ) თავის ქალის და ცხვრის დანამატი წიაღების რენტგენოგრაფია;
- ა.ზ) რადიონუკლიდური სკანირება, პეტ (პოზიტრონემისიული ტომოგრაფია);
- ა.თ) ულტრასონოგრაფია (ექოსკოპია დოპლეროგრაფიით);
- ა.ი) პლევრი ღრუს, პერიფერიული ლიმფური კვანძების, მუცლის ღრუს ლიმფური კვანძების, მუცლის ღრუს, შარდ-სასქესო სისტემის, მცირე მენჯის ორგანოების, ართროსკოპია, ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპია, სარძევე ჯირკვლის ექოსკოპია;
- ა.კ) ენდოსკოპიური: ფიბრობრონქოსკოპია, რიგიდული ბრონქოსკოპია;
- ა.ლ) ფილტვის ფუნქციური სინჯები: კომპიუტერული სპირომეტრია - სპიროგრაფია, პულსოქსიმეტრია, პიკფლოუმეტრია, პლეთიზმოგრაფია;
- ა.მ) სისხლის საერთო ანალიზი;
- ა.ნ) სისხლის ბიოქიმიური გამოკვლევები;
- ა.ო) სისხლის იმუნოლოგიური და ბაქტერიული კვლევა;

- ა.პ) სისხლის სეროლოგიური კვლევა;
- ა.ჟ) არტერიული სისხლის გაზების, მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის და ელექტროლიტური ბალანსის მაჩვენებლები;
- ა.რ) კოაგულაცია;
- ა.ს) ჰემოსტაზოგრაფია;
- ა.ტ) ჰორმონალური კვლევები;
- ა.უ) შარდის საერთო ანალიზი;
- ა.ფ) შარდის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა;
- ა.ქ) ნახველის მიკროსკოპიული (ციტოლოგიური) და ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლები;
- ა.ღ) პლევრული გამონაჟონის ციტოლოგიური, ბიოქიმიური მაჩვენებლები;
- ა.ყ) თავ-ზურგ ტვინის სითხის ციტოლოგიური, ბიოქიმიური მაჩვენებლები;
- ა.შ) ღვიძლის ფუნქციური მდგომარეობის ლაბორატორიული მაჩვენებლები;
- ა.ჩ) სინოვიალური სითხის ლაბორატორიული კვლევა;
- ა.ც) განავლის მიკრობიოლოგიური და ციტოლოგიური კვლევა;
- ა.ძ) პათოლოგიური მასალის ბაქტერიოსკოპიული კვლევა;
- ა.წ) პათოლოგიური მასალის კულტურალური კვლევა;
- ა.ჭ) პათოლოგიური მასალის ციტოლოგიური და ჰისტომორფოლოგიური კვლევა;
- ა.ხ) ანტიტუბერკულოზური პრეპარატების მიმართ რეზისტენტობის განსაზღვრა;
- ა.ჯ) რეზისტენტული ტუბერკულოზის სწრაფი დიაგნოსტიკა;
- ა.ჰ) მანტუს სინჯი;
- ა.ჰ.1) კვანტიფერონის ტესტი;
- ა.ჰ.2) ანტიგენრეაქტიული ლიმფოციტების ტესტი.
- ბ) ექიმ-ფთიზიატრ-პულმონოლოგს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:
 - ბ.ა) ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია;
 - ბ.ბ) შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (რბილი კათეტერით);
 - ბ.გ) პლევრის ღრუს პუნქცია, სპინალური პუნქცია.

6. სპეციალიზაცია:

კომპიუტერული სპირომეტრია – სპიროგრაფია და პლექტიზმოგრაფია, პიკფლოუმეტრია.

7. გარდამავალი ეტაპის რეგულირება:

ა) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს განახორციელოს საექიმო საქმიანობა სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული სპეციალობის ფარგლებში;

ბ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტებს, რომელთაც დასრულებული აქვთ სარეზიდენტო პროგრამა სპეციალობით – „ფთიზიატრია“ (მ.შ., რომლებიც ფლობენ სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობაში – „ფთიზიატრია“, „ფთიზიატრია-პულმონოლოგია“), უფლება აქვთ განახორციელონ „ფთიზიატრია-

პულმონოლოგიის“ კომპეტენციებით განსაზღვრული საქმიანობა „პულმონოლოგიაში“ სპეციალიზაციის შესაბამისი კურსის დასრულების შემთხვევაში. ხსენებული სპეციალიზაციის კურსის დასრულების შემდგომ „ფთიზიატრიაში“ სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს შეუძლია მოიპოვოს სახელმწიფო სერტიფიკატი საექიმო სპეციალობაში - „ფთიზიატრია-პულმონოლოგია“ (სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე);

გ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტებს, რომელთაც დასრულებული აქვთ სარეზიდენტო პროგრამა სპეციალობით - „პულმონოლოგია“ (მ.შ., რომლებიც ფლობენ სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობაში - „პულმონოლოგია“, „ფთიზიატრია-პულმონოლოგია“), უფლება აქვთ, განახორციელონ „ფთიზიატრია-პულმონოლოგიის“ კომპეტენციებით განსაზღვრული საქმიანობა „ფთიზიატრიაში“ სპეციალიზაციის შესაბამისი კურსის დასრულების შემთხვევაში. ხსენებული სპეციალიზაციის კურსის დასრულების შემდგომ „პულმონოლოგიაში“ სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს შეუძლია, მოიპოვოს სახელმწიფო სერტიფიკატი საექიმო სპეციალობაში - „ფთიზიატრია-პულმონოლოგია“ (სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე).